# საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000018480586517

0900 ქ. ახმეტა რუსთაველის ქ.N49 ტელ: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
[illegible]@gmail.com

№ 27

20 / აპრილი / 2017 წ.

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული სოფელ ომალოს (თუშეთი) ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 50.26.33.422 , ფართობი- 1904 კვ.მ ) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით უსასყიდლოდ ერთი წლის ვადით გაცემაზე თანხმობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის,122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების"-ს 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის საკუთრებაში რიცხული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 50.26.33.422, ფართობი-1904 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ აღნაგობის უფლებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გადაცემაზე.
2. სარგებლობის უფლების გაცემა განხორციელდეს ერთი წლის ვადით გადაცემულ მიწის ფართობებში წყალსადენი საკანალიზაციო სისტემების მოწყობის მიზნით.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ ყანჩაშვილი